

შპს „ამანათი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

## ფინანსური ანგარიშგება 31 დეკემბერი 2024

შპს „ამანათი“

402020718

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით..... 4

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ..... 4

1. ძირითადი საქმიანობა ..... 4
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი..... 5
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა ..... 5
  - 3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები..... 6
  - 3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი ..... 6
  - 3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ..... 6
  - 3.4 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება..... 7
  - 3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ..... 7
  - 3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები ..... 7
  - 3.7 ძირითადი შაშუალებები ..... 8
  - 3.8 მოგების გადასახადი..... 8
  - 3.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ..... 10
  - 3.10 საწესდებო კაპიტალი..... 10
  - 3.11 დივიდენდები ..... 11
  - 3.12 შემოსავალი..... 11
  - 3.13 ხარჯები ..... 11
  - 3.14 დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:..... 12
  - 3.15 საკურსო სხვაობებით მიღებული მოგება / (ზარალი) ..... 12
4. სასამართლო დავები ..... 13
5. ბალანსის შემდგომი მოვლენები ..... 13

---

დირექტორი



29 სექტემბერი, 2024  
თბილისი, საქართველო

შპს „ამანათი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| საქმიანობის შედეგები                                                     |                |                |
|--------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| საქმიანობის შედეგები                                                     | 31/12/2024     | 31/12/2023     |
| ნეტო ამონაგები                                                           | 12 433 628.00  | 11 988 623.00  |
| საქონლის გაყიდვიდან                                                      | 12 162 069.00  | 11 988 623.00  |
| სხვა                                                                     | 271 559.00     | -              |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                | - 8 193 520.00 | - 8 206 313.00 |
| საერთო მოგება                                                            | 4 240 108.00   | 3 782 310.00   |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                               | -              | 189 364.00     |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                 | - 1 750 425.00 | - 1 160 923.00 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                               | - 89 054.00    | - 47 303.00    |
| საპროცენტო ხარჯი                                                         | - 25 168.00    | - 20 159.00    |
| იჯარის ხარჯი                                                             | - 193 214.00   | - 142 163.00   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                 | - 1 060 373.00 | - 859 140.00   |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                   | - 3 118 234.00 | - 2 040 324.00 |
| საოპერაციო მოგება                                                        | 1 121 874.00   | 1 741 986.00   |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                   |                |                |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 1 121 874.00   | 1 741 986.00   |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                   | 1 121 874.00   | 1 741 986.00   |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                 |                |                |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                      | 1 121 874.00   | 1 741 986.00   |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                      | 2 485 988.00   | 1 055 808.00   |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                    | - 678 385.00   | -              |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                | -              | - 311 806.00   |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                           | 2 929 477.00   | 2 485 988.00   |

შპს „ამანათი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| ფინანსური მდგომარეობა                                                                          |              |              |              |
|------------------------------------------------------------------------------------------------|--------------|--------------|--------------|
|                                                                                                | 31/12/2024   | 31/12/2023   | 31/12/2022   |
| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                                   |              |              |              |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                          | 1 831 561.00 | 1 975 317.00 | 1 112 872.00 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                     | 461 285.00   | 664 465.00   | 335 850.00   |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                    | 10 237.00    | 42 783.00    | 5 089.00     |
| მარაგები                                                                                       | 87 519.00    | 78 659.00    | 126 891.00   |
| შზა პროდუქცია                                                                                  | 87 519.00    | 20 194.00    | -            |
| სხვა                                                                                           | -            | 58 465.00    | 126 891.00   |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                     | 5 010.00     | -            | 7 020.00     |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                   | 55 561.00    | 4 430.00     | 5 273.00     |
| ძირითადი საშუალებები                                                                           | 1 361 414.00 | 877 073.00   | 170 009.00   |
| სულ აქტივები                                                                                   | 3 812 587.00 | 3 642 727.00 | 1 763 004.00 |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                           |              |              |              |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                          | 744 067.00   | 935 767.00   | 699 830.00   |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                     | 366.00       | -            | 2 103.00     |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                                | 137 677.00   | 219 972.00   | -            |
| სხვა ვალდებულებები                                                                             | 1 000.00     | 1 000.00     | 5 263.00     |
| სულ ვალდებულებები                                                                              | 883 110.00   | 1 156 739.00 | 707 196.00   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                       |              |              |              |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'სააქციო კაპიტალი') | 1 000.00     | 1 000.00     | 1 000.00     |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                      | 2 928 477.00 | 2 484 988.00 | 1 054 808.00 |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                          | 2 929 477.00 | 2 485 988.00 | 1 055 808.00 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                         | 3 812 587.00 | 3 642 727.00 | 1 763 004.00 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                      | -            | 2 735 220.00 | 1 587 722.00 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                                 | -            | 1 156 740.00 | 707 196.00   |

დირექტორი



29 სექტემბერი, 2024  
 თბილისი, საქართველო

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის  
მდგომარეობით**

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 000 ლარს. საწესდებო კაპიტალში 2023 წელს ცვლილებები არ განხორციელებულა.

**ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**

**1. ძირითადი საქმიანობა**

---

დირექტორი



29 სექტემბერი, 2024  
თბილისი, საქართველო

შპს „ამანათი“ (ს/ნ 402020718) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საფოსტო და საკურიერო მომსახურება. კომპანია დაფუძნდა 2015 წელს. 2024 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლომდე კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი - გიორგი მანიჭაშვილი (პ/ნ 01027026896), ილია მანიჭაშვილი (01027019038) 50%-იანი წილის მფლობელი მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ლუბლიანას 1. N 11, კორ. 1, ბლოკი ა.ბ. 35

## 2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

## 3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

### 3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სების ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

### 3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

|                            | აშშ დოლარი | ევრო   |
|----------------------------|------------|--------|
| 2024 წლის 31 დეკემბრისთვის | 2. 8068    | 2.9306 |
| 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6834     | 2.9753 |

### 3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 2024             | 2023             |
|--------------------------------------------|------------------|------------------|
| ნაღდი ფული სალაროში                        | -                | -                |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში            | 1 831 176        | 1 971 696        |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში             | 385              | 3548             |
|                                            | <b>1 975 317</b> | <b>1 975 317</b> |

**a. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება**

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

**b. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | 2024           | 2023           |
|-------------------------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო                 | 461 285        | 649 422        |
| გადახდილი ავანსები                        | 5 237          | -              |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                | 6 314          | 102 448        |
| მოთხოვნები პარტნიორზე გაცემული სესხებიდან | 5 000          | 5 000          |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ     | -              | 55             |
| <b>სულ</b>                                | <b>471 521</b> | <b>756 925</b> |

**c. სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-

შპს „ამანათი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

| მარაგები               | 2024          | 2023          |
|------------------------|---------------|---------------|
| საქონელი               | 87 519        | 20 194        |
| დაუმთავრებელი წარმოება | -             | 48 587        |
| საწვავი                | 5 010         | 4 405         |
| <b>სულ</b>             | <b>92 529</b> | <b>73 187</b> |

**d. ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

**e. მოგების გადასახადი**

დირექტორი



29 სექტემბერი, 2024  
თბილისი, საქართველო

შპს „ამანათი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| ძირითადი საშუალებები        |                                                 |          |                                         |                           |                                                            |          |                |                                                 |                                       |                                           |  |           |
|-----------------------------|-------------------------------------------------|----------|-----------------------------------------|---------------------------|------------------------------------------------------------|----------|----------------|-------------------------------------------------|---------------------------------------|-------------------------------------------|--|-----------|
|                             | ელექტრომრავ-<br>ბი და დირექტორ-<br>გენერატორები | მენობები | დაუმთავრებელ<br>მშენებლობა-<br>შენობები | ოფისის<br>აღჭურვილო<br>ბა | კომპიუტერული<br>ტექნიკა და<br>პერიფერიული<br>მოწყობილობები | ავტო     | ინვენტა-<br>რი | სარეკლამ-<br>ო<br>საშუალებ-<br>ები/სპეცი-<br>ბი | სატრანსპო-<br>რტო<br>საშუალებე-<br>ბი | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კუთილობის |  | სულ       |
| 2023 წლის ბოლოს მდგომარეობა | 2 674                                           | 529 526  | 47 874.00                               | 16 086                    | 93 293                                                     | 42 808   | 38 143         | 33 781                                          | 112 187                               | 74 819                                    |  | 991 191   |
| შემოსვლა/რემონტი            | 58 710                                          | 342 132  | 294 257.00                              | 7 705                     | 52 553                                                     | 12 540   | -              | 16 484                                          | 95 378                                | 34 363                                    |  | 914 122   |
| გადაფასება                  | -                                               | -        | -                                       | -                         | -                                                          | -        | -              | -                                               | -                                     | -                                         |  | 0         |
| გასვლა                      | -                                               | -        | 342 131.00                              | -                         | -                                                          | -        | -              | -                                               | -                                     | -                                         |  | 342 131   |
| 2024 წლის ბოლოს მდგომარეობა | 61 384                                          | 871 658  | -                                       | 23 791                    | 145 846                                                    | 55 348   | 38 143         | 50 265                                          | 207 565                               | 109 182                                   |  | 1 563 182 |
| 2023 წლის ბოლოს მდგომარეობა | (606)                                           | -        | -                                       | (5 576)                   | (29 511)                                                   | (7 004)  | (11 359)       | (4 018)                                         | (39 460)                              | (16 727)                                  |  | (114 261) |
| პერიოდის ცვლილება           | (6 280)                                         | (6 702)  | -                                       | (2 475)                   | (18 248)                                                   | (8 420)  | (5 357)        | (7 121)                                         | (24 178)                              | (8 728)                                   |  | (87 509)  |
| გასვლა                      | -                                               | -        | -                                       | -                         | -                                                          | -        | -              | -                                               | -                                     | -                                         |  | -         |
| 2024 წლის ბოლოს მდგომარეობა | (6 886)                                         | (6 702)  | -                                       | (8 051)                   | (47 759)                                                   | (15 424) | (16 716)       | (11 139)                                        | (63 638)                              | (25 455)                                  |  | (201 770) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება |                                                 |          |                                         |                           |                                                            |          |                |                                                 |                                       |                                           |  |           |
| 2023                        | 2 068                                           | 529 526  | 47 874.00                               | 10 510                    | 63 782                                                     | 35 804   | 26 784         | 29 763                                          | 72 727                                | 58 092                                    |  | 876 930   |
| 2024                        | 54 498                                          | 864 956  | -                                       | 15 740                    | 98 087                                                     | 39 924   | 21 427         | 39 126                                          | 143 927                               | 83 727                                    |  | 1 361 412 |

საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანია გარდა ფინანსური ინსტიტუტისა (როგორც არის ბანკი, სადაზღვევო კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ლომბარდი) ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი სანამ არ მოხდება ან დივიდენდის გზით მოგების განაწილება ან განაწილებად მიჩნევა.

დივიდენდის განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება და იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივები ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ნორმას.

აგრეთვე შეღავათიანი დაბეგვრის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსები, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისათვის.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ 2017 წლის 1 იანვრიდან არ წარმოიქმნება.

დირექტორი



29 სექტემბერი, 2024  
თბილისი, საქართველო

**f. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 2024           | 2023             |
|--------------------------------------------|----------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                      | 744 067        | 1 024 097        |
| მიღებული ავანსები                          | 1 000          | 1 000            |
| მოკლევადიანი სესხები                       | 137 677        | 219 972          |
| სხვა ვალდებულებები                         | -              | -                |
| საგადასახადო ვალდებულებები                 | 366            | 0                |
| <b>სულ</b>                                 | <b>883 110</b> | <b>1 245 069</b> |

**გ. საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელის მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელის მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

**საკუთარი კაპიტალის მოძრაობა**

2024

2023

|                      |           |           |
|----------------------|-----------|-----------|
| საწესდებო კაპიტალი   | 1 000     | 1 000     |
| გაუნაწილებელი მოგება | 2 928 477 | 2 484 988 |

#### h. დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

#### i. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

#### j. ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

შპს „ამანათი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები |            |
|--------------------------------------------|------------|
| რეკლამის ხარჯები                           | 3 231.67   |
| რეკლამის ხარჯები                           | 3 000.00   |
| სოციალური დანარიცხები                      | 35 374.38  |
| საკანცელარიო ხარჯები                       | 1 524.49   |
| საოფისე და სხვა ხარჯები                    | 69 521.39  |
| კომუნიკაციის ხარჯები                       | 14 773.73  |
| საწვავის ხარჯები                           | 12 844.66  |
| ავტომანქანის რემონტი                       | 20 532.41  |
| ელექტროენერგია და გაზი                     | 15 118.04  |
| საკონსულტაციო ხარჯები                      | 48 895.64  |
| სხვა საგადასახადო ხარჯები                  | 11 183.00  |
| საბანკო ხარჯები                            | 133 863.91 |
| სხვა საერთო ხარჯები                        | 3 032.85   |
| ტერმინალი და ტვირთის შენახვა               | 272 724.63 |
| შეფუთვის და პალეტის წონა                   | 157 620.87 |
| უარყოფითი საკურსო სხვაობები                | 142 629.85 |
| საგადასახადო ჯარიმები და საურავები         | 259.94     |
| მოგების გადასახადის ხარჯი                  | 114 241.47 |

**კ. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:**

მსს ფასს სტანდარტის 33-ე განყოფილება „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება ხორციელდება გაშლილი ხელის პრინციპით.

**1. საკურსო სხვაობებით მიღებული მოგება / (ზარალი)**

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) მოიცავდა:

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

2024

2023

დირექტორი



29 სექტემბერი, 2024  
თბილისი, საქართველო

შპს „ამანათი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                    |                |              |
|------------------------------------|----------------|--------------|
| საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება | 108 848        | 116 294      |
| საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი | 142 630        | 107 155      |
| <b>სულ</b>                         | <b>251 477</b> | <b>9 139</b> |

4. სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში საწარმოს მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას მიმდინარე პერიოდში სასამართლო დავა არა აქვს.

5. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.

.....  
დირექტორი



29 სექტემბერი, 2024  
თბილისი, საქართველო